მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მირკაზუმ იაგუბოვის შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ო ქ მ ი N1

ქ. მარნეული **12.09.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - მირკაზუმ იაგუბოვი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა- შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების:ზემო სარალი,ქვემო სარალი,შულავრის მოსახლეობა,ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი ,ხოშგადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მირკაზუმ იაგუბოვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მირკაზუმ იაგუბოვმა შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (ზემოსარალი,ქვემოსარალი,შულავრი)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ შულავერში განხორციელდა გარე განათების მოწყობა,სკოლის რეაბილიტაცია.სოფელ ზემო სარალში გარე განათების მოწყობა

განხორციელდა.სოფელ ქვემო სარალში შიდა გზების რეაბილიტაცია,გარე განათების მოწყობა ,ასევე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი შულავერის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია შიდა გზების რეაბილიტაცია,სარიტუალო სახლის ჭურჭელი და ინვენტარი,გარე განათება,საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერებები.

სოფელი ზემო სარალის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სასმელი წყალი,სასაფლაოს შემოღობვა, სპორტული დარბაზი და შიდა გზების რეაბილიტაცია დაასახელა.

სოფელი ქვემო სარალის მოსახლეობამ პრობლემად სასაფლაოს შემოღობვა ,სკოლის ეზოს შემოღობვა, მინი სტადიონი, შიდა გზების მოასფალტება და გარე განათების მოწყობა დაასახელა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მირკაზუმ იაგუბოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.